

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35, ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a></p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>გერმანული ფილოლოგია</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p><b>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში</b></p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>გერმანული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 180 კრედიტი (160 კრედიტი სავალდებულო და 20 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები), დამატებით სპეციალობა/არჩევითი კურსები- 60 კრედიტი.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>პროგრამა მიზნად ისახავს მისცეს ბაკალავრს დარგის ფართო ცოდნა, ღრმად შეასწავლოს გერმანული ენის სტრუქტურა, მისი თავისებურებები, ჩამოუყალიბოს ენის თავისუფლად ფლობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, გააცნოს გერმანულენოვანი ლიტერატურა, უცხო ენისა და კულტურის შესწავლის გზით ხელი შეუწყოს სტუდენტის ინტერკულტურული კომპეტენციების დახვეწა-განვითარებას. ჩამოყალიბებული ზოგადი და ენობრივი კომპეტენციები მას დასაქმების ფართო შესაძლებლობას აძლევს, ხოლო ისეთი ზოგადი კომპეტენციები, როგორცაა მაგ.: კომპლექსური საკითხების გააზრება, მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება და სხვ. კონკურენტუნარიანს ხდის შრომის ბაზარზე. პროგრამა ითვალისწინებს სწავლის სწავლებას, რაც უზრუნველყოფს, რომ ბაკალავრმა აითვისოს სწავლის სტრატეგიები, გამოუმუშავდეს თვითშეფასების უნარ-ჩვევები და შეძლოს თვითაქტუალიზაცია.</p>
<p>სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)</p>	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება:</b> აქვს კომპლექსური თეორიული ცოდნა გერმანულ ფილოლოგიაში, ლინგვისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში; იცის გერმანული ენა B2 დონეზე; გაცნობიერებული აქვს ენის დაუფლებისა და ენობრივი კომპეტენციის სრულყოფის ძირითადი საყრდენები: კითხვა, გაგება; შეუძლია მომიჯნავე დისციპლინებში მიღებული ცოდნის გამოყენება.</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</b> შეუძლია მიღებული ცოდნის ინტეგრირება პრაქტიკაში, მთარგმნელობითი საქმიანობა გერმანული ენიდან და პირიქით; პირადი და ოფიციალური კორესპოდენციის წარმოება; საკუთარი აზრის წერილობითი გადმოცემა ბიზნეს მიმოწერებში, ესეებში, რეფერატებში, სამეცნიერო და საბაკალავრო ნაშრომებში; სხვადასხვა შემეცნებითი ხასიათის ტექსტების გაგება და ანალიზი;</p> <p><b>დასკვნის უნარი:</b> შეუძლია ფილოლოგიური, კერძოდ ლინგვისტური მონაცემების შეგროვება, გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნების გამოტანა; შესწევს კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის პროცესში, აგრეთვე ახალი იდეების</p>

	<p>დანერგვის უნარი.</p> <p><b>კომუნიკაციის უნარი:</b> შეუძლია მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება ქართულ ენაზე კომუნიკაციის პროცესში; კვლევა და თარგმნა უცხოური ენიდან მშობლიურ ენაზე; შეუძლია კითხვის, წერის, მოსმენისა და საუბრის უნარ-ჩვევების გამოყენება კომუნიკაციის დროს და პროფესიული საქმიანობისას; შეუძლია კომუნიკაცია სხვადასხვა საკითხზე; დისკუსია გერმანულ ენაზე; შეუძლია პრეზენტაციების ჩატარება ქართულსა და გერმანულ ენებზე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავება.</p> <p><b>სწავლის უნარი:</b> შეუძლია სწავლა გააგრძელოს აკადემიური უმაღლესი განათლების II საფეხურზე; მაგისტრატურაში გერმანული ფილოლოგიის, ლინგვისტიკის, თარგმანმცოდნეობის, ლიტერატურათმცოდნეობისა და სხვა მიმართულებით;</p> <p><b>ღირებულებები:</b> ეროვნული და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისა და ფასეულობების, ადათ-წესებისა ტრადიციების გაცნობით ჩამოყალიბდება კრიტიკულად მოაზროვნე, ტოლერანტული, დემოკრატიისა და ლიბერალური პრინციპის მატარებელი თავისუფალი პიროვნება.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p><b>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</b></p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p><b>პროგრამის ხელმძღვანელი:</b>  პროფესორი ნანა სტამბოლიშვილი  საკონტაქტო მონაცემები:  ტელ.: ბინის (422)272399  მობ.: (+995 93) 324653  ელ. ფოსტა: Nn_stamboli@yahoo.com</p>